წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა N34

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. ცვლილებები სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში (მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე);
2. სტუ-ს დებულებაში "აკადემიური თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე);
3. აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა და დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე);
4. აკადემიური საბჭოს დადგენილების "სტუ-ს საპატიო დიპლომას დაწესების შესახებ" საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. გიორგი სალუქვაძე);
5. მოწვეული სპეციალისტების (პროფესორების) მიღების წესის შესახებ;
6. სტუ-ს აკადემიური საბჭოს (N58) დადგენილების, 2008-2009 ს\წელს არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების საკითხის დამტკიცება;
7. სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
8. სტუ-ს ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
9. 2009 წლის სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
10. სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი ფაკ-ტის დეკანი პროფ. ზურაბ წვერაიძე;
11. იჯარების საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის ანგარიში (მომხსენებელი კომისიის თავმჯდომარე პროფ.Nნოდარ ქაჯაია).

მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 10 ივნისის სხდომის

ოქმი №34

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 53. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. თალიკო ჟვანია, პროფ. მალხაზ ხუციშვილი, სტუდენტი ირაკლი სალთხუციშვილი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – ცვლილებები სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სპიკერი – ცვლილებებია სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში. სტუდენტებმა ამირან კაცაძემ და თეიმურაზ დუნდუამ დაამთავრეს სასწავლო კურსი, კანონის 43-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მათ შეუწყდათ წარმომადგენლობით საბჭოში უფლებამოსილების ვადა. როგორც ვხედავთ, საბჭოში გაჩნდა ორი ვაკანსია. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმით დარჩენილია ერთი სტუდენტი – რევაზიშვილი ლევანი. ამდენად ის დაიკავებს საბჭოში ერთ ადგილს, ხოლო მეორე ადგილზე (ფაკულტეტზე) უნდა გამოცხადდეს კონკურსი. რაც შეეხება საბჭოს წევრ მიხეილ ხარაზიშვილს, იგი სწავლობდა საერთაშორისო ნავთობ-გაზსადენების ექსპლუატაციის ფაკულტეტზე, საიდანაც არჩეული იყო საბჭოს წევრად. როგორც ცნობილია, 2007 წელს ეს ფაკულტეტი გავიდა ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობიდან და სტუდენტი მიხეილ ხარაზიშვილი გადავიდა ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად. დღეს იგი არ წარმოადგენს არც ერთ ფაკულტეტს და უფლებამოსილი არ არის დარჩეს საბჭოში. თუ მას საბჭოში მუშაობის სურვილი აქვს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე გამოცხადებულ არჩევნებში და გამარჯვების შემთხვევაში, კანონის დაცვით შემოვიდეს საბჭოში ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის წარმომადგენლად.

სპიკერის ინფორმაცია
წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სტუდენტთა ორმა წარმომადგენელმა (თეიმურაზ დუნდუა, ამირან კაცაძე) დაასრულა მაგისტრატურის სრული კურსი (ბრძანება № 154/05; 13.02.09), რის გამოც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტისა და ამავე კანონის 43-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მათ ვადამდე შეუწყდათ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

ზემოხსენებული მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტიდან, გახდა, შესაბამის არჩევნებში მონაწილე მომდევნო კანდიდატი, ლევან რევაზიშვილი.

შემდეგი ასეთი კანდიდატის არარსებობის გამო, მეორე ვაკანსიის შესავსებად, საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილზე, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სტუდენტისათვის, ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

საბჭოს წევრი მიხეილ ხარაზიშვილი სწავლობდა საერთაშორისო ნავთობ-გაზსადენების ექსპლუატაციის ფაკულტეტზე, საიდანაც იგი არჩეული იყო საბჭოს წევრად. 2007 წელს ეს ფაკულტეტი გავიდა ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობიდან, სტუდენტი მიხეილ ხარაზიშვილი კი გადავიდა ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად. ამდენად, დღეს იგი არ წარმოადგენს არც ერთ ფაკულტეტს საბჭოში და უფლებამოსილი არ არის მიიღოს მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ს დებულებაში "აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – სტუ-ს დებულებაში "აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" შეტანილია ცვლილებები. პროცედურა განცხადების შესახებ გამარტივდა. კომისია ერთი კვირის ვადაში შეამოწმებს საბუთებს და თუ ყველაფერი წესრიგში იქნება, პიროვნება

ჩაითვლება რეგისტრირებულად. ხარვეზის გამოსწორებისთვის ეძლევა 3 დღე, შემდეგ შენიშვნები აღარ მიიღება.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" ცვლილებები, რომელიც ძირითადად ეხება დებულების მე-9 მუხლს და ამარტივებს კონკურსში მონაწილე პირთა რეგისტრაციის პროცედურას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა ცვლილება სტუ-ს საარჩევნო დებულებაში "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ".

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მესამე საკითხს – აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა და დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – დებულებაში ჩადებული იყო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე პირთა ნარკოლოგიური შემოწმების პუნქტი. ამან გამოიწვია თანამშრომლების უკმაყოფილება. ამიტომ გადაწყდა ეს მუხლი ამოღებულ იქნეს დებულებიდან და აისახოს ეთიკის კოდექსში, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს თვითონ ჩაატაროს ნარკოლოგიური შემოწმება საჭიროების შემთხვევაში და მოახდინოს ადმინისტრაციული ზემოქმედება.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა. მომხრე – 51, წინააღმდეგი – 2, თავი არავის შეუკავებია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინა აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით და შემოვიდა წინადადებით ერთობლივი კომისის შექმნის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით (მომხრე – 51, წინააღმდეგი – 2, თავი არავინ შეიკავა), დაკმაყოფილდა აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა და წარმომადგენლობითი საბჭოს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შემმუშავებელ ქვეკომისიას დაევალა, აკადემიურ საბჭოსთან ერთობლივად, სტუ-ს ეთიკის კოდექსში ცვლილებების მომზადება.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – აკადემიური საბჭოს დადგენილების "სტუ-ს საპატიო დიპლომის დაწესების შესახებ" საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი უნდა ყოფილიყო აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფ. გიორგი სალუქვაძე, მაგრამ დღეს იგი არ გვესწრება (იხ. დანართი №3); ამიტომ გაგაცნობთ დადგენილების შინაარსს. ჩვენი უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორებისათვის, მათი განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაწესებულ იქნეს საპატიო დიპლომი.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე – რით განსხვავდება ეს დიპლომი ნიკოლაძის ჯილდოსგან?

პროფ. დავით ჯაფარიძე – აირია საბიუჯეტო პროცესი. არ შეიძლება ფულთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ასე ვიღებდეთ. ჯერ გავთვალოთ თუ რა დაუჯდება ეს უნივერსიტეტს.

პროფ. ვანო თვალავაძე – როდესაც ღვაწლმოსილი მუშაკი კონკურსს ვერ გაივლის ალბათ მათთვის არის ეს ჯილდო?

პროფ. ნოდარ ქაჯაია – ყველანაირი დიპლომის დაწესებას თან უნდა სდევდეს დებულება. ჩვენ იდეას ვუყაროთ კენჭი და შემდგომში წარმოგვიდგინონ დებულება.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს სტუ-ს საპატიო დიპლომის დაწესების იდეას. და თუმცა მიმართეს აკადემიურ საბჭოს, რომ ჯერ განხილულ იქნეს შესაბამისი დებულება და შემდეგ ერთიანად წარმოუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს დადგენილება (№110) "სტუ-ს საპატიო დიპლომის დაწესების შესახებ" საკითხის დამტკიცება.

აღნიშნული საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისათვის. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, აკადემიურ საბჭოს ეთხოვა შეიმუშაოს დებულება "სტუ-ს საპატიო დიპლომის დაწესების შესახებ" და ერთიანად წარმოუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლად (იხ. დანართი 3).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხს – მოწვეული სპეციალისტების (პროფესორების) მიღების წესის შესახებ (იხ. დანართი №4).

პროფ. ზურაბ ლომსაძე – ჩვენ ვაცნობიერებთ შექმნილ გარემოებას და უნივერსიტეტი ქმნის პირობას, რომ ღირსეული ადამიანები დარჩნენ უნივერსიტეტში მოწვეული სპეციალისტების (პროფესორების) სტატუსით. ხელშეკრულება მათთან გაფორმდეს 6 თვიდან 4 წლამდე ვადით (იხ. დანართი № 4).

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფ.

ზურაბ ლომსაძემ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს დადგენილების (№114) მოწვეული სპეციალისტების (პროფესორების) მიღების წესის შესახებ საკითხის დამტკიცება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა, რომ მოწვეული სპეციალისტის (პროფესორის) შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთი განისაზღვროს ორი ნიხრით, სრული პროფესორის შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთის და, შესაბამისად, ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთის ტოლი. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებლის შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთი ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთის 85%-ით. დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე უფროსი მასწავლებლის შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთი განისაზღვროს ასისტენტ პროფესორის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური განაკვეთის ტოლად, მასწავლებლის კი – ასისტენტ პროფესორის შრომის ანაზღაურების თვიური განაკვეთის ტოლად (იხ. დანართი 4).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხს – სტუ-ს აკადემიური საბჭოს (№58) დადგენილების, 2008-2009 ს\წელს არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების საკითხის დამტკიცება (იხ. დანართი №5).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს აკადემიური საბჭოს (№58) დადგენილების, 2008-2009 ს\წელს არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების საკითხი, განხილულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიაზე და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. დანართი №5).

პროფ. დავით ჯაფარიძე – ის საათები, რომლებიც ჩამორჩენილი სტუდენტების დამატებით მეცადინეობაზეა დახარჯული, უნდა ანაზღაურდეს. რაც შეეხება კვალიფიკაციის ამაღლებასა და მეთოდური სახელმძღვანელოს დაწერაზე დახარჯული საათებს, არ უნდა ანაზღაურდეს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: 51 – მომხრე, 2 – წინააღმდეგი, თავი არავის შეუკავებია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს დადგენილების №58, 2008-2009 ს\წელს არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების საკითხის დამტკიცება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით (მომხრე – 51, წინააღმდეგი – 2, თავი არავინ შეიკავა), დამტკიცდა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს აკადემიური საბჭოს დადგენილების მოთხოვნა:

ა) 2008-2009 ს/წლის არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ნორმამდე სრული ან ნაწილობრივი შევსება მოხდეს აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციის მიზნით და მობილობის შედეგად შექმნილ აკადემიურ ჯგუფებში შესრულებული სალექციო საათებით;

ბ) ამ კატეგორიის აკადემიური პერსონალის შრომის წლიური (ოქტომბერი – აგვისტო) ანაზღაურება განისაზღვროს სრული აკადემიური დატვირთვის ნორმით გათვალისწინებული შესასრულებელი სალექციო საათების პროპორციულად (იხ. დანართი 5).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი №1).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 2008 წელი პოზიტიურად დავამთავრეთ. ფინანსები შემოვიდა ყველა წყაროდან, საიდანაც ველოდით. გეგმის ზევმო მიღებულია თანხები. თქვენ დარიგებული გაქვთ ანგარიში გასაცნობად. გაქვთ რაიმე შეკითხვები ანგარიშთან დაკავშირებით?

პროფ. დავით ჯაფარიძე – საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ დადებითად შეაფასა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის შესრულებული სამუშაოს

ანგარიში, თუმცა ეკონომიკური ეფექტურობის ასამაღლებლად უნდა იყოს შემუშავებული გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა. რაც შეეხება ბიზნეს სკოლის საკითხს, საჭიროა მეტი ვიმუშაოთ.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2008 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა 2008 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს და წარმატებულად შეფასდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2008 წელს შესრულებული სამუშაოს წარმოდგენილი ანგარიში (იხ. დანართი №1).

2. ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით მუშაობას მიეცეს გეგმაზომიერი ხასიათი. ამ მიზნით შემუშავდეს უნივერსიტეტში ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფის გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა და წარუდგინოს წარმომადგენლობითი საბჭოს დასამტკიცებლად.

3. ცნობად იქნეს მიღებული, ივჯარების საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის მდგომარეობის და კავკასიის ბიზნეს სკოლის საკითხები განხილულ იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზე და მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მერვე საკითხს – სტუ-ს ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და

სტუ-ს წესდების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის სამუშაოს დროის ხანგრძლივობას, კერძოდ 2009 წლის 15 ივნისიდან სტუ-ს ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 5 სამუშაო დღით. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 10.00 საათიდან 17.00 საათამდე. შესვენების პერიოდი განისაზღვროს 13.00 საათიდან 13.30 საათამდე, ხოლო სტუ-ს სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტში დასაქმებულ პირთათვის, სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, ხოლო შაბათს 10.00 საათიდან 14.00 საათამდე.

აღნიშნულ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და სტუ-ს წესდების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის სამუშაოს დროის ხანგრძლივობის დამტკიცების საკითხი, კერძოდ, 2009 წლის 15 ივნისიდან სტუ-ს ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 5 სამუშაო დღით. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 10.00 საათიდან 17.00 საათამდე. შესვენების პერიოდი 13.00 საათიდან 13.30 საათამდე, სტუ-ს სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტში დასაქმებულ პირთათვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, ხოლო შაბათს 10.00 საათიდან 14.00 საათამდე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობის საკითხი.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხს – 2009 წლის სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი №2).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგენთ სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს, რაც გამოწვეულია მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში სტუ-ს მიერ მოპოვებული სამეცნიერო-საგრანტო პროექტების საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუჯეტი გაიზარდა – 339.243 ლარით.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დამტკიცების შესახებ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუ-ს 2009 წლის ნაერთმა ბიუჯეტმა, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა 2009 წლის 18 თებერვალს, განიცადა ცვლილებები, რომლებიც ძირითადად განპირობებული იყო მიმდინარე წლის მარტისა და აპრილის თვეში უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული სამეცნიერო-საგრანტო პროექტებით. შედეგად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 399243 ლარით. ეს თანხა ნაერთი ბიუჯეტის კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილდა შემდეგნაირად:

- *შრომის ანაზღაურება გაიზარდა – 233110 ლარი;*
- *საქონელი და მომსახურეობა გაიზარდა – 75612 ლარი;*
- *არაფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია გაიზარდა – 30521 ლარი*

ასევე განხორციელდა მუხლებს შორის ცვლილებები ნაერთი ბიუჯეტის ფასიანი სწავლების გრაფაში, რაც განხორციელდა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებითა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებებით, კერძოდ:

2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომის გადაწყვეტილებით

- საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების მუხლიდან 1815 ლარი გადატანილი იქნა "კავშირგაბმულობის ხარჯების" მუხლში (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);

- 2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომის გადაწყვეტილებით ელექტრო ენერგიის ხარჯებიდან 40000 ლარი გადატანილი იქნა კომუნალური მომსახურეობისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში;

- იმავე სხდომის გადაწყვეტილებით ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების გრაფაში 128960 ლარით შემცირდა დანამატის წილი და იგივე რაოდენობით გაიზარდა ხელფასის წილი, რაც შეეხება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებებით განხორციელებულ ცვლილებებს, რაც გამოწვეულია აუცილებელი გარემოებებიდან, განხორციელდა შემდეგი:

- ნედლეულისა და მასალების ხარჯების მუხლიდან 2300 ლარი გადატანილი იქნა სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯების მუხლში;

- ტენდერის ხარჯებიდან – 2306 ლარი გადატანილი იქნა სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა, ბანკის მომსახურეობის ხარჯების მუხლში;

- ბუნებრივი აირის ხარჯების მუხლიდან – 90376 ლარი გადატანილი იქნა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლში;

- ელექტრო ენერგიის ხარჯების მუხლიდან – 8409 ლარი გადატანილი იქნა კომუნალური მომსახურეობისათვის გაყვანილობებისა და მისი მიმდინარე შეკეთების ხარჯების მუხლში;

- ბუნებრივი აირის ხარჯების მუხლიდან – 4520 ლარი გადატანილი იქნა ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების მუხლში;

- ნედლეულისა და მასალების ხარჯების მუხლიდან 700 ლარი გადატანილი იქნას სხვა მანქანა – დანადგარების, ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის მუხლში (სამშენებლო ფაკულტეტი).

ამრიგად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებებით მუხლებს შორის განხორციელებულმა ცვლილებებმა თანხობრივად შეადგინა 108611 ლარი.

საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ თავის მორიგ სხდომაზე (03.06.09.) იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცება.

საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცეს სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკატორის მიხედვით განაწილდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 2).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ნაერთ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს დაემატა 1 პუნქტი, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის, დამატებითი ჟურნალ-გაზეთების პერიოდული შესყიდვის მიზნით, "სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების" მუხლის "ტენდერის ხარჯების" პუნქტიდან 3568 ლარი გადატანილ იქნეს "ოფისის ხარჯების" მუხლის "საკანცელარიო ხარჯების" პუნქტში.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილება, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის, დამატებითი ჟურნალ-გაზეთების პერიოდული შესყიდვის მიზნით, "სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების" მუხლის "ტენდერის ხარჯების" პუნქტიდან 3568 ლარი

გადატანილ იქნეს "ოფისის ხარჯების" მუხლის "საკანცელარიო ხარჯების" პუნქტში.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეათე საკითხს – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება – მომხსენებელი ფაკ-ტის დეკანი, პროფ. ზურაბ წვერაიძე (იხ. დანართი №6).

პროფ. ზურაბ წვერაიძე – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებია, კერძოდ, 2007 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა ფაკულტეტის კრება, რათა 250 კაციანი საბჭო შეგვემცირებინა 35 კაცამდე. ეს ცვლილება უნდა დამტკიცებულიყო წარმომადგენლობით საბჭოზე, რაც არ იქნა გაკეთებული და საბჭოს კანონიერება არ დაფიქსირებულა. ჩვენი მიზანია 35 კაციანი საბჭოს ლეგიტიმაცია.

სტუდენტი პაატა მალაზონია – სტუდენტების მოსაზრებით, ეს დებულება დამტკიცებულია არასწორი პროცედურით. არსებობს მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა. ამ დებულების მიხედვით, შესაბამისი აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობს 9 სტუდენტი და ფაკულტეტის ყველა აკადემიური წევრი (183 ლექტორი), რაც უბრალოდ არის სტუდენტების უფლებათა დარღვევა. კანონის მიხედვით საბჭოს შემადგენლობაში უნდა იყოს 1/4 სტუდენტი, ამ შემთხვევაშიც პროპორცია ირღვევა. ბატონო პროფესორებო, თქვენ როგორც მიგაჩნიათ ისე გადაწყვიტეთ ეს საკითხი, მე სტუდენტთა აზრი უკვე მოგახსენეთ. ჩვენ ამ დებულებას მხარს არ დავუჭერთ.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – იქნებ აკადემიური საბჭოს არჩევნების დროს დაიცვათ კვოტა და სტუდენტთა რაოდენობა შეავსოთ 35 კაცამდე?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: 32 – მომხრე, 21 – წინააღმდეგი, თავი არავის შეუკავებია.

მეცნიერებათა აკადემიის წევრი პ. ასათიანი – მოგეხსენებათ თქვენ იღებთ იურიდიულ-ადმინისტრაციულ აქტს, ეს გავლენას მოახდენს 2009 წლის კონკურსის სამართლებრივ ბუნებაზე. ინფორმატიკის ფაკულტეტზე არ არის საბაზო საგანი. საჭიროა: 1. დებულებაში ჩაიდოს საბაზო საგნის შემოღება "ინფორმაცია და კომუნიკაცია", როგორც იურიდიული ნორმის სახით. 2. მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის დებულებაში ჩაიდოს უმაღლესი პროფესიული განათლების სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო პროექტებში დამხმარე პერსონალის სახით.

სპიკერი – ეს პრობლემა განხილულ საკითხთან არ არის კავშირში და არც წარმომადგენლობითი საბჭოს პრეროგატივაა, მიმართეთ აკადემიურ საბჭოს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, აღნიშნული ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე – 32, წინააღმდეგი – 21, თავი არავინ შეიკავა), დამტკიცდა სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულება (იხ. დანართი 6).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხს – იჯარების საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის ანგარიშს – მომხსენებელი კომისიის თავმჯდომარე, პროფ. ნოდარ ქაჯაია (იხ. დანართი №7).

პროფ. ნოდარ ქაჯაიამ იჯარების საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისიის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ წარმოადგინა მოხსენება და გადაწყვეტილების პროექტი (იხ. დანართი №7).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დიდი მადლობა იჯარების საკითხების შემსწავლელ დროებით კომისიას გაწეული მუშაობისთვის.

პროფ. დავით ჯაფარიძე – წინა ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს. ეს ანალიზი გამოვიყენოთ და ვთხოვოთ სამინისტროს ობიექტების გადაფასება.

სპიკერი – მადლობას ვუხდი იჯარების საკითხების შემსწავლელ დროებით კომისიას და პირადად ბატონ ნოდარს გაწეული მუშაობისთვის და საკითხის ასე ზედმიწევნით შესწავლისათვის..

საბჭომ გადაწყვიტა ეთხოვოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადააფასოს ზოგიერთი ობიექტი. ბუღალტერიას მოეთხოვოს ყოველთვიური ბალანსი წყალზე და დენზე. ასევე, ჩატარდეს გაქირავებული ფართობების რევიზია.

წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს იჯარების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა ანგარიში.

წარმომადგენლობითი საბჭო აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გარკვეულწილად გაუმჯობესდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იჯარით გასაცემი ობიექტების გამოყოფისა და გაიჯარების პროცესები: იგი გახდა უფრო გამჭვირვალე, აღარ ხდება საინტერესო ფართობების ჩალის ფასად გაიჯარება, გაიზარდა შემოსავლები და სხვ. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი ჯერ კიდევ შორსაა მისაღები მდგომარეობიდან:

1) უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საბაზრო ფასებთან შედარებით დაბალ ფასებში გაიჯარებული საინტერესო ობიექტები;
2) მნიშვნელოვნად შესასწორებელია ხელშეკრულების მუხლების გარკვეული ნაწილი;
3) არ არის მოგვარებული მოიჯარეთა მიერ საიჯარო გადასახადის დაფარვის აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმი;
4) მოუწესრიგებელია კომუნალური გადასახადების ამოღებისა და აღრიცხვიანობის საქმე – პრაქტიკულად შეუძლებელია ამ პროცესის გაკონტროლება;
5) არ ჩანს გაიჯარდა თუ არა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ნებადართული იჯარით გასაცემი ობიექტების ერთი ნაწილი.

ამ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. სტუ-ს ადმინისტრაციამ:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ადმინისტრაციის სახელით სისტემატურად გამოაქვეყნოს იჯარით გასაცემი ობიექტების ჩამონათვალი, სადაც მითითებული იქნება მათი ადგილმდებარეობა, ფართობი, და საიჯარო ღირებულება;

- საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების განყოფილების უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს დაევალოს საიჯარო და კომუნალური გადასახადების, დროული შემოტანის აღრიცხვის და საჯარიმო სანქციების განხორციელების საქმის მოწესრიგება;
- ერთი თვის ვადაში, ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის ხელმძღვანელობით შეიქმნას კომერციულად დატვირთული ობიექტების ბანკი, სადაც ნაჩვენები იქნება:
- ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა;
- მისი ფართობი;
- მოიჯარის დასახელება, პასუხისმგებელი პირი და მისი ზუსტი
    - საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონი – ქალაქის, მობილური, ელ. ფოსტა – თუ არსებობს)
- ობიექტის იჯარის წლიური ღირებულება და 1კვ.მ ფასი თვეში (ვალუტის მითითებით);
- ობიექტის გადაცემის თარიღი;
- ხელშეკრულების ვადა;
    - გადახდის პერიოდულობა და მდგომარეობა, როგორც ხელშეკრულებაში

      ჩაწერილი ღირებულების განმსაზღვრელ, ასევე ნაციონალურ ვალუტაში;
    - საჯარიმო სანქციები და განხორციელების მდგომარეობა;
- კომუნალური გადასახადის დაფარვის თარიღი და რაოდენობა
    - (ელ.ენერგია, წყალი, ტელეფონი და, თუ საჭიროა, გაზი).

2. ერთ თვეში, უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უშუალო მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს საიჯარო ხელშეკრულების ახალი საყოველთაო ფორმა, რომელშიც ერთნაირად იქნება დაცული როგორც მოიჯარის, ასევე მეიჯარის უფლებები.
3. 2009 წლის ივნისის თვეში დაამთავროს ხელშეკრულებების გაფორმება იმ ობიექტების მოიჯარეებთან, რომლებიც, ამა თუ იმ მიზეზით, ჯერაც გაუფორმებელია.
4. საგეგმო-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების განყოფილებების ძალებით შეიმუშაოს და წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინოს იჯარით გაცემული თუ გასაცემი ობიექტების რანჟირება,

სადაც მითითებული იქნება ობიექტის უნივერსიტეტისათვის მისაღები მინიმალური ღირებულება.

5. ადმინისტრაციამ, საიჯარო ფართობების დაზუსტების მიზნით, მოწვეული სპეციალისტების საშუალებით, ჩაატაროს გაიჯარებული და გასაიჯარებელი ობიექტების სრული ინვენტარიზაცია და შექმნას მათი აზომვითი ნახაზები, დამოწმებული სათანადო ორგანიზაციის მიერ.

6. საიჯარო საქმიანობის შესახებ, წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე მოამზადოს წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელზე, რომელშიც ჩამოაყალიბოს თხოვნა, სტუ-ს ხელმძღვანელობის მიერ 2006 წლამდე უნივერსიტეტის კუთვნილი ობიექტების იჯარით გაცემის დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისთვის მიზნით, საიჯარო ქირების გადაანგარიშების, ახალი ნორმატიული აქტის გამოშვების შესახებ.

7. სტუ-ში ელექტრო და წყალმომარაგების მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ:

   ა) მოიწვიოს ელექტრო და წყალმომარაგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნების დონეზე შეისწავლიან ელექტროენერგიის და წყლის ხარჯვის აღრიცხვიანობას, ელექტრო და წყალმომარაგების სისტემების ტექნიკურ მდგომარეობას და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დასახავენ ქმედით ღონისძიებებს შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

   ბ) ელექტრო და წყალმომარაგებაში ეკონომიის რეჟიმის გატარების მიზნით

   შეიმუშაონ ბიზნეს გეგმა და უზრუნველყონ მისი განხორციელება;

   გ) მოწვეული სპეციალისტების მიერ, სტუ-ს ელექტრო და წყალმომარაგების მდგომარეობის შესახებ, გაკეთებული ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ამ სისტემა-მენეჯმენტის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მოდელი და უზრუნველყოს მისი პრაქტიკაში დანერგვა *(იხ. დანართი 7).*

<u>მიმდინარე საკითხები:</u>

პროფ. გივი გოლეთიანი – გაგაცნობთ მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის დებულებას (იხ. დანართის №8).

საბჭომ გადაწყვიტა, პასუხისმგებელ პირებს დაევალოს, რომ დებულებები თავის დროზე მიეწოდოს წარმომადგენლობით საბჭოს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივნისის №34 სხდომაზე, სტუ-ს მეცნიერების განვითარების კომისიის კოორდინატორ-მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, აღნიშნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს მეცნიერების განვითარების კომისიის დებულება (იხ. დანართი 8).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/